პროექტი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №

2026 წლის ------ ქ. თბილისი

„სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №337 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის N337 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/06/2018, 340020000.10.003.020652) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების წესის“:

1. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“-„მ“ ქვეპუნქტები:

„კ) გენეტიკური ეროზია – დროთა განმავლობაში ერთი და იმავე სახეობის პოპულაციებსა და ჯიშებს შორის ან მათ შიგნით გენეტიკური მრავალფეროვნების დაკარგვა, ან ადამიანის ჩარევის ან გარემოს ცვლილების შედეგად სახეობის გენეტიკური საფუძვლის შემცირება;

ლ) ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიში – ერთი კულტურის ფარგლებში ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთი ან რამდენიმე სახეობის პოპულაციების ან კლონების ერთობლიობა, რომელიც ტრადიციულად ერთ ადგილობრივ აგროპოპულაციას წარმოადგენდა;

მ) თესლი - თესლი და სათესლე კარტოფილი, გარდა შემთხვევისა, როდესაც სათესლე კარტოფილი პირდაპირ არის გამორიცხული.“.

2. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. სერტიფიცირების ორგანო

„სერტიფიცრების ორგანოებია: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (შემდგომ -

ცენტრი), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტებული პირი, აგრეთვე საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე შესაბამისობის შემფასებელი პირი.“.

3. დაემატოს 8[1] მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8[1]. გამონაკლისი წესები გენეტიკური ეროზიის საფრთხის ქვეშ მყოფი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიშების კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის თესლისა და კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშის თესლის სერტიფიცირებისას

1. საფურაჟე, მარცვლეული, შაქრის ჭარხლის და საფურაჟე ჭარხლის, სათესლე კარტოფილის, საზეთე და საბოჭკოე კულტურების თესლის სერტიფიცირების მოთხოვნიდან გამომდინარე, გამონაკლისის სახით, სერტიფიცირების ორგანოს შეუძლია განსაზღვროს, რომ კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის თესლი ბაზარზე განთავსდეს თუ ის აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 - მე-5 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

2. საფურაჟე, მარცვლეული, შაქრის ჭარხლის და საფურაჟე ჭარხლის, სათესლე კარტოფილის, საზეთე და საბოჭკოე კულტურების თესლი წარმოშობილი უნდა იყოს ჯიშის შენარჩუნების კარგად განსაზღვრული პრაქტიკის შესაბამისად წარმოებული თესლიდან.

3. საფურაჟე, მარცვლეული, შაქრის ჭარხლის და საფურაჟე ჭარხლის, სათესლე კარტოფილის, საზეთე და საბოჭკოე კულტურების თესლი უნდა შეესაბამებოდეს, თესლის ბაზარზე განთავსებისადმი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გარდა მოთხოვნებისა, რომლებიც ეხება მინიმალურ ჯიშობრივ სიწმინდეს და ოფიციალურ შემოწმებას ან ოფიციალური ზედამხედველობის ქვეშ შემოწმებას.

4. ქვეყანამ შეიძლება დაადგინოს, რომ ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის თესლი იყოს სერტიფიცირებული, როგორც „კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის სერტიფიცირებული თესლი“, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) თესლი წარმოშობილია იმ თესლიდან, რომელიც წარმოებულია ჯიშის შენარჩუნებისათვის კარგად განსაზღვრული პრაქტიკის შესაბამისად;

ბ) საფურაჟე, მარცვლეული, შაქრის ჭარხლის და საფურაჟე ჭარხლის, სათესლე კარტოფილის, საზეთე და საბოჭკოე კულტურების და ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების თესლი, გარდა Oryza sativa-ს (ბრინჯის) თესლისა, უნდა შეესაბამებოდეს სერტიფიცირებული თესლისადმი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გარდა მინიმალურ ჯიშობრივ სიწმინდესთან და ოფიციალურ გამოცდასთან ან ოფიციალური ზედამხედველობის ქვეშ გამოცდასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა.

5. Oryza sativa-ს (ბრინჯის) კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის თესლი:

ა) მიღებული უნდა იყოს ჯიშის შენარჩუნების მკაფიოდ განსაზღვრული პრაქტიკის შესაბამისად წარმოებული თესლიდან და აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით მეორე თაობის სერტიფიცირებული თესლის კატეგორიისათვის დადგენილ მოთხოვნებს, გარდა მოთხოვნებისა, რომელიც ეხება მინიმალურ ჯიშობრივ სიწმინდეს და ოფიციალურ შემოწმებას ან ოფიციალური ზედამხედველობის ქვეშ შემოწმებას;

გ) უნდა შეესაბამებოდეს მარცვლეული კულტურების თესლის ბაზარზე განთავსებისადმი „სერტიფიცირებული თესლი მეორე თაობა“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გარდა მოთხოვნებისა, რომლებიც ეხება მინიმალურ ჯიშობრივ სიწმინდეს და ოფიციალურ შემოწმებას ან ოფიციალური ზედამხედველობის ქვეშ შემოწმებას;

დ) ამ მუხლის მე-2-მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ თესლს უნდა ჰქონდეს საკმარისი ჯიშობრივი სიწმინდე.

6. კონსერვაციისთის განკუთვნილი ჯიშის თესლის და კონკრეტულ პირობებში მოყვანისათვის გამოყვანილი თესლის ხარისხის შეფასება და ოფიციალური კონტროლი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. სათესლე კარტოფილის შემთხვევაში, არ გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით კარტოფილის ტუბერების ზომისათვის დადგენილი მოთხოვნები.

8. კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშების მისაღებად:

ა) შეიძლება მიღებულ იქნეს ჯიში, რომლის თესლი შეიძლება იყოს სერტიფიცირებული, როგორც „კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის სერტიფიცირებული თესლი“, ან აღიარებული როგორც „კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის სტანდარტული თესლი“. ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების ამგვარი ჯიშები ეროვნულ კატალოგში შეიტანება, როგორც კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიში, რომლის თესლი ექვემდებარება სერტიფიცირებას და გადამოწმებას;

ბ) ქვეყანამ შეიძლება დაამტკიცოს ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების ჯიში, რომლის თესლი შეიძლება იყოს აღიარებული როგორც „კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის სტანდარტული თესლი“. ასეთი ჯიში შეტანილი უნდა იყოს ეროვნულ კატალოგში, როგორც კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიში, რომლის თესლი ექვემდებარება ცენტრის მიერ აღიარებას;

გ) ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტიდან გამონაკლისის სახით, ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის თესლი, ცენტრის მიერ აღიარებული უნდა იყოს, როგორც „კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის სტანდარტული თესლი“, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

გ.ა) თესლი შეესაბამება ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების „სტანდარტული თესლის“ ბაზარზე განთავსებისადმი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გარდა მინიმალურ ჯიშობრივ სიწმინდესთან დაკავშირებული მოთხოვნებისა;

გ.ბ) თესლს აქვს საკმარისი ჯიშობრივი სიწმინდე;

9. კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიში წარმოებული უნდა იყოს მხოლოდ წარმოშობის რეგიონში.

10. თუ წარმოშობის რეგიონში, გარემო პირობების დაცვის პრობლემის გამო, სერტიფიცირების პირობები ვერ სრულდება, ქვეყანას შეუძლია თესლის წარმოებისთვის დადგინოს დამატებითი რეგიონები, სადაც ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს მცენარეთა გენეტიკური რესურსების ორგანოების ან ამ მიზნით აღიარებული შესაბამისი სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

11. კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშის თესლი შეიძლება სერტიფიცირებული იყოს, როგორც „კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშის სტანდარტული თესლი“ თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) თესლი შეესაბამება ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების „სტანდარტული თესლის“ ბაზარზე განთავსებისადმი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გარდა მინიმალურ ჯიშობრივ სიწმინდესთან დაკავშირებული მოთხოვნებისა;

ბ) თესლს აქვს საკმარისი ჯიშობრივი სიწმინდე.

12. სერტიფიცირების ორგანომ უნდა უზრუნველყოს „კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშების“ თესლის საკონტროლო გამოცდის ჩატარება, რათა დადგინდეს მისი შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

13. საკონტროლო გამოცდის ჩატარება, უნდა მოხდეს მოქმედი საერთაშორისო მეთოდების შესაბამისად, ან, თუ ასეთი მეთოდები არ არსებობს, ნებისმიერი შესაბამისი მეთოდის გამოყენებით.

14. ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული საკონტროლო გამოცდის ჩასატარებლად, სერტიფიცირების ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ ნიმუშები აღებული იყოს ერთგვაროვანი პარტიებიდან. მათ ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ პარტიის წონა და ნიმუშის წონა შესაბამისობაში იყოს საფურაჟე, მარცვლეული, შაქრის ჭარხლის და საფურაჟე ჭარხლის, სათესლე კარტოფილის, საზეთე და საბოჭკოე კულტურების და ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურებისადმი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.“.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2027 წლის 30 სექტემბრიდან.

განმარტებითი ბარათი

საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი: „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №337 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

ინფორმაცია პროექტის შესახებ

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №337 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

პროექტის მომზადება განპირობებულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებით. კერძოდ, ზემოაღნიშნული შეთანხმების თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი, რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება. შეთანხმების XI-B დანართი, რომელიც შესწორებულია საქართველო-ევროკავშირის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის 2023 წლის 6 მარტის №1/2023 გადაწყვეტილებით, შეიცავს ევროკავშირის იმ საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალს, რომლებთანაც უნდა მოხდეს ეროვნული კანონმდებლობის აპროქსიმაცია (SPS საკანონმდებლო ნუსხა) დაახლოების ვადების მითითებით. მათ შორის არის: ევროკომისიის 2008 წლის 20 ივნისის 2008/62/EC დირექტივა, რომელიც ითვალისწინებს საგამონაკლისო წესებს ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიშების, ასევე იმ ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მათი თესლის და სათესლე კარტოფილის ბაზარზე განთავსებისათვის, რომლებიც ადაპტირებული არიან ადგილობრივ და რეგიონულ გარემო პირობებთან და იმყოფებიან განეტიკური ეროზიის საფრთხის ქვეშ (COMMISSION DIRECTIVE 2008/62/EC of 20 June 2008 providing for certain derogations for acceptance of agricultural landraces and varieties which are naturally adapted to the local and regional conditions and threatened by genetic erosion and for marketing of seed and seed potatoes of those landraces and varieties), კომისიის 2009 წლის 26 ნოემბრის N2009/145 დირექტივა, რომელიც ადგენს გარკვეულ გამონაკლისებს, რათა შესაძლებელი იყოს იმ ბოსტნეულის ლანდრასებისა და ჯიშების მიღება, რომლებიც ტრადიციულად იზრდებოდა კონკრეტულ ადგილებსა და რეგიონებში და გენეტიკური ეროზიის საფრთხის წინაშე დგას, აგრეთვე იმ ბოსტნეულის ჯიშების, რომლებსაც არ გააჩნიათ კომერციული მნიშვნელობა ფართომასშტაბიანი წარმოებისთვის, მაგრამ შექმნილია განსაკუთრებულ პირობებში მოსაყვანად, და ამ ლანდრასებისა და ჯიშების თესლის ბაზარზე განთავსება (COMMISSION

DIRECTIVE 2009/145/EC of 26 November 2009 providing for certain derogations, for acceptance of vegetable landraces and varieties which have been traditionally grown in particular localities and regions and are threatened by genetic erosion and of vegetable varieties with no intrinsic value for commercial crop production but developed for growing under particular conditions and for marketing of seed of those landraces and varieties).

პროექტის შესაბამისად, მე-3 მუხლს დაემატა: „კ“ - „მ“ ქვეპუნქტები, სადაც განიმარტა ტერიმენები გენეტიკური ეროზია, ადგლობრივი (აბორიგენული) ჯიში და თესლი.

ასევე, მე-4 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ტექნიკური ხასიათის ცვლილება და მუხლში განისაზღვრა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (შემდგომ – ცენტრი) შემოკლებული სახელწოდება, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სამართლებრივი აქტის შემდგომ ტექსტში „ცენტრის“ სახელწოდების ერთგვაროვან და გამარტივებულ გამოყენებას.

პროექტის თანახმად, დაემატა 8^1 მუხლი, და დადგინდა, რომ საფურაჟე, მარცვლეული, შაქრის ჭარხლის და საფურაჟე ჭარხლის, სათესლე კარტოფილის, საზეთე და საბოჭკოე კულტურების თესლის სერტიფიცირების მოთხოვნიდან გამომდინარე, გამონაკლისის სახით, სერტიფიცირების ორგანოს შეუძლია განსაზღვროს, რომ კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის თესლი ბაზარზე განთავსდეს.

საფურაჟე, მარცვლეული, შაქრის ჭარხლის და საფურაჟე ჭარხლის, სათესლე კარტოფილის, საზეთე და საბოჭკოე კულტურების თესლი წარმოშობილი უნდა იყოს ჯიშის შენარჩუნების კარგად განსაზღვრული პრაქტიკის შესაბამისად წარმოებული თესლიდან.

საფურაჟე, მარცვლეული, შაქრის ჭარხლის და საფურაჟე ჭარხლის, სათესლე კარტოფილის, საზეთე და საბოჭკოე კულტურების თესლი უნდა შეესაბამებოდეს, თესლის ბაზარზე განთავსებისადმი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გარდა მოთხოვნებისა, რომლებიც ეხება მინიმალურ ჯიშობრივ სიწმინდეს და ოფიციალურ შემოწმებას ან ოფიციალური ზედამხედველობის ქვეშ შემოწმებას.

ასევე განისაზღვრა, რომ ქვეყანამ შეიძლება დაადგინოს, რომ ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის თესლი იყოს სერტიფიცირებული, როგორც „კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის სერტიფიცირებული თესლი“, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: თესლი წარმოშობილია იმ თესლიდან, რომელიც წარმოებულია ჯიშის შენარჩუნებისათვის კარგად განსაზღვრული პრაქტიკის შესაბამისად; საფურაჟე, მარცვლეული, შაქრის ჭარხლის და საფურაჟე ჭარხლის, სათესლე კარტოფილის, საზეთე და საბოჭკოე კულტურების და ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების თესლი, გარდა Oryza sativa-ს (ბრინჯის) თესლისა, უნდა შეესაბამებოდეს სერტიფიცირებული თესლისადმი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გარდა მინიმალურ ჯიშობრივ სიწმინდესთან და ოფიციალურ გამოცდასთან ან ოფიციალური ზედამხედველობის ქვეშ გამოცდასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა.

Oryza sativa-ს (ბრინჯის) კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის თესლი:

მიღებული უნდა იყოს ჯიშის შენარჩუნების მკაფიოდ განსაზღვრული პრაქტიკის შესაბამისად წარმოებული თესლიდან და აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით მეორე თაობის სერტიფიცირებული თესლის კატეგორიისათვის დადგენილ მოთხოვნებს, გარდა მოთხოვნებისა, რომელიც ეხება მინიმალურ ჯიშობრივ სიწმინდეს და ოფიციალურ შემოწმებას ან ოფიციალური ზედამხედველობის ქვეშ შემოწმებას;

უნდა შეესაბამებოდეს მარცვლეული კულტურების თესლის ბაზარზე განთავსებისადმი „სერტიფიცირებული თესლი მეორე თაობა“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გარდა მოთხოვნებისა, რომლებიც ეხება მინიმალურ ჯიშობრივ სიწმინდეს და ოფიციალურ შემოწმებას ან ოფიციალური ზედამხედველობის ქვეშ შემოწმებას, თესლს უნდა ჰქონდეს საკმარისი ჯიშობრივი სიწმინდე.

კონსერვაციისთის განკუთვნილი ჯიშის თესლის და კონკრეტულ პირობებში მოყვანისათვის გამოყვანილი თესლის ხარისხის შეფასება და ოფიციალური კონტროლი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ასევე, განისაზღვრა კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშების მიღების პროცედურები, დადგინდა, რომ კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშის თესლი შეიძლება სერტიფიცირებული იყოს, როგორც „კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშის სტანდარტული თესლი“ თუ ის აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტი მომზადებულია ევროკომისიის 2008 წლის 20 ივნისის 2008/62/EC და 2009 წლის 26 ნოემბრის N2009/145 დირექტივების შესაბამისად.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენას.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე და არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღების შედეგად, „სავალდებულო სერტიფიცირებას დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების წესი“, სრულყოფს რეალიზაციისათვის განკუთვნილი სასოფლო-სამეურნეო კულტურათა

თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების პროცესთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რაც ხელს შეუწყობს სერტიფიცირების პროცესის ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტი ამოქმედდება 2027 წლის 30 სექტემბრიდან

ამასთან, ზემოაღნიშნული XI-B დანართის მიზნებისთვის, მითითებული ვადები უკავშირდება კანონმდებლობის დამტკიცებას (დაახლოვება), ხოლო მისი ამოქმედების (იმპლემენტაციის) საკითხი დამოკიდებულია ქვეყნის და კერძო სექტორის მზად ყოფნაზე. თავად შეთანხმების XI-A დანართი ახდენს აღნიშნული ტერმინების (დაახლოვება/იმპლემენტაცია) გამიჯვნას ერთმანეთისგან. კერძოდ, აღნიშნული დანართის მიხედვით, ქართულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს დაახლოებული ეროვნული კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაცია. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ დაახლოვება გულისხმობს კანონმდებლობის იმპლემენტაციასაც და ის ვადები, რომლებიც მოცემულია XI-B დანართში უკავშირდება კანონმდებლობის იმპლემენტაციას, გაურკვეველია ამავე შეთანხმების ზემოაღნიშნული ქვეპუნქტის სამართლებრივი დატვირთვა (დაახლოვებული კანონმდებლობის იმპლემენტაცია).

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასოცირების შეთანხმების საფუძველზე შექმნილი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული SPS ქვეკომიტეტის შეხვედრებზე, რომლის ფარგლებშიც საქართველო ახდენს ევროკომისიისთვის ანგარიშის წარდგენას კანონმდებლობის დაახლოებასთან დაკავშირებით, ყოველთვის ვაწვდით ინფორმაციას იმის თაობაზე თუ როდის მოხდება დაახლოვებული კანონმდებლობის ამოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკომისია ადასტურებდა საქართველოს მიერ ვალდებულებების შესრულებას. გარდა ამისა, კანონმდებლობის დაახლოვება SPS სფეროში იყო ერთ-ერთი საფუძველი საბიუჯეტო დახმარებისთვის, დღემდე ამ კომპონენტის შეუსრულებლობის გამო რაიმე შეფერხება არ ყოფილა.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ თავად ევროკავშირის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტების დამტკიცების შემდეგ ხდება გარდამავალი პერიოდის დაწესება, რათა კერძო სექტორმა და სახელმწიფო სტრუქტურებმა მოასწრონ მომზადება ახალი მოთხოვნების შესრულებისთვის.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.